



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

Minister of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia



KA030163661047020

საქართველო, თბილისი 0119, აკნერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/16201

10 / დეკემბერი / 2020 წ.

საქართველოს პარლამენტს

“საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის” 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2020 წლის ანგარიშს საჯარო ინფორმაციის გაცემის თავისუფლების შესახებ.

2020 წლის 1 იანვრიდან 10 დეკემბრის მდგომარეობით სულ შემოსულია 638 განცხადება, საქმისწარმოება მიმდინარეობს 55 განცხადებაზე. უარი ეთქვა 7 მოთხოვნას, აქედან ნაწილობრივი უარი გაიცა 1 მოთხოვნაზე. 4 მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია არ განეკუთვნებოდა სამინისტროს კომპეტენციის სფეროს ან/და მოთხოვნილი დოკუმენტის ასლი არ იყო დაცული სამინისტროს არქივში. 2 მოთხოვნაზე უარი გაიცა “პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად.

საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნით განცხადება არ შემოსულა.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილების/დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის, ადმინისტრაციის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო/საკონსულტაციო მომსახურების სამმართველოს უფროსის მიერ. მისი არყოფნის პერიოდში მისი მოვალეობის შემსრულებლის მიერ.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში ფუნქციონირებს ელექტრონული მართვის სისტემა, სადაც ხდება პერსონალური მონაცემების შეგროვება და შენახვა. ხსენებულ ინფორმაციაზე წვდომის უფლება აქვთ მხოლოდ იმ თანამშრომლებს, რომლებსაც მინიჭებული აქვთ შესაბამისი უფლებამოსილება. ასევე, სამინისტროში პერსონალური მონაცემები დაცულია მატერიალური სახით.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო მოსამსახურეთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დარღვევის გამო, დისციპლინური სახდელების დადებას ადგილი არ ჰქონია.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას სამინისტრო ვერდნობოდა შემდეგ საკანონმდებლო აქტებს: საქართველოს კონსტიტუციას, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონს, საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს.

2020 წლის განმავლობაში საჯარო ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები არ გასაჩივრებულა, შესაბამისად ხარჯები არ განეულა.

პატივისცემით,

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამგდასმულია
ელექტრონულად

ეკატერინე ტიკარაძე

